

სკოლა _____ კლასი _____

სახელი _____ გვარი _____

ტელეფონი _____

ამოცანა 1: უდიდესი და უმცირესი

რიცხვში 5836123 გადახაზე 3 ციფრი ისე, რომ დარჩენილმა ციფრებმა (იგივე თანმიმდევრობით) შეადგინოს:

- ა) შეძლებისდაგვარად ყველაზე დიდი ოთხნიშნა რიცხვი
- ბ) შეძლებისდაგვარად ყველაზე პატარა ოთხნიშნა რიცხვი

ამოცანა 2: წიგნი

წიგნის გვერდების გადასანომრად სულ გამოიყენეს 1392 ცალი ციფრი. რამდენი გვერდია წიგნში? (პასუხი დაასაბუთეთ).

ამოცანა 3: რამდენი რიცხვი?

რიცხვების რა უდიდესი რაოდენობა შეიძლება ავარჩიოთ 1-დან 15-ის ჩათვლით ნატურალურ რიცხვებს შორის ისე, რომ ამორჩეული რიცხვებიდან არც ერთი იყოს სამჯერ მეტი სხვა რომელიმე არჩეულ რიცხვზე? ჩამოთვალეთ არჩეული რიცხვები.

ამოცანა 4: რა რიცხვებია?

ჩამოწერეს ერთ მწკრივში 84 ნატურალური რიცხვი. ვიცით, რომ ამ მწკრივში ნებისმიერი სამი მეზობელი რიცხვის ჯამია 22. მეათე რიცხვია 9, მეთერთმეტეა – 6.

ა) რა რიცხვები ღვას ამ მწკრივის ბოლოებში?

ბ) ეს მწკრივი რომ გავაგრძელოთ იგივე კანონზომიერებით, რა რიცხვი აღმოჩნდება მეხუთასე ადგილზე?

(პასუხი დაასაბუთეთ).

ამოცანა 5: ოლიმპიადაზე

სხვადასხვა სკოლის მოსწავლე სამი ბიჭი გამოცხადდა ოლიმპიადაზე. რეგისტრაციის დროს, შეკითხვაზე, თუ ვინ რომელი სკოლიდან არის, მათ ასეთი პასუხები გასცეს:

1. ნიკა: «მე ვსწავლობ 24-ე სკოლაში, ხოლო ლუკა სწავლობს მე-8 სკოლაში»;
2. ლუკა: «მე ვსწავლობ 24-ე სკოლაში, ხოლო ნიკა - 30-ე სკოლაში»;
3. გიგა: «მე ვსწავლობ 24-ე სკოლაში, ხოლო ნიკა - მე-8 სკოლაში».

აღმოჩნდა, რომ თითოეული ბიჭის გამონათქვამიდან თითო წინადადება მართალია, ხოლო მეორე – ტყუილი.

რომელი ბიჭი რომელ სკოლაში სწავლობს?
(პასუხი დაასაბუთეთ).